პროლეტარიელნო ყველანი ერთიანდითო!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი
8 აპრილი
1944 წ.
№ 72 (7016)
ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

ახალგაზრდობის ამოცანები გამარჯვების მოსავლისათვის ბრძოლაში. მოწინავე. (1-ლი გვერდი).
საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან. 7 აპრილის ოპერატიული ცნობა. (1-ლი გვერდი).
უკრაინა—საქართველო. გაზეთ „რადიანსკა უკრაინის“ მოწინავე სტატია. (მე-2 გვერდი).
ილია ერენბურგი. ფრიცები დასავლეთიდან. (1-ლი გვერდი).
სასახელო ზრომის დღიური. საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრება. (მე-2 გვერდი).
განვაახლოთ უკრაინისა და საქართველოს რკინიგზელთა ტრადიციული შეჯიბრება. სტალინის რკინიგზის ნიუნდენ-ბერეზოვკის [illegible] თქლმავლო დეპოს კოლექტივის წერილი [illegible] ბილისის რკინიგზის თბილისის [illegible] ლექტივისადმი. (მე-2 გვერდი).
სოციალისტური შეჯიბრება გამარჯვების მოსავლისათვის. (მე-2 გვერდი).
საერთაშორისო ცხოვრებიდან. გაზეთ „სენ“-ის არაჩვეულებრივი აღმოჩენა. (მე-2 გვერდი).
უცხოეთის ამბები. დეპეშები. (1-ლი გვერდი).

ახალგაზრდობის ამოცანები გამარჯვების მოსავლისათვის ბრძოლაში

საქართველოს კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, ახალგაზრდობამ, დიდი სტალინის ისტორიული ბრძანებებისა და წითელი არმიის უმაგალითო გამარჯვებათა პასუხად ფართოდ გააჩაღეს ბრძოლა მიმდინარე წლის მოსავლის — გამარჯვების მოსავლის მისაღებად. მოწინავე კომკავშირულ ორგანიზაციებში გაშლილია სოციალისტური შეჯიბრება საგაზაფხულო თესვის წარმატებით ჩატარებისათვის.

კომკავშირელები, ახალგაზრდობა იბრძვიან დიდი ბელადისათვის მიცემული წმიდა ფიცის გასანაღდებლად. თესვისათვის მზადების დღეებში კოლმეურნეობებთან, საბჭოთა მეურნეობებთან, მტს-ებთან შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების შემკეთებელი კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადები, რომლებიც თვალსაჩინო მუშაობას ეწევიან. მაგალითად, გორის რაიონში იარაღ-მანქანების შემკეთებელმა 73 კომკავშირულ-ახალგაზრდულმა ბრიგადამ დიდძალი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი შეაკეთა. ახალგაზრდებმა გაარჩიეს და კონდიციამდე აიყვანეს 2.317 ცენტნერი გაზაფხულის ქერი, 341 ცენტნერი გაზაფხულის ხორბალი, 173 ცენტნერი სიმინდი, ლობიო და სხვა კულტურათა თესლი. ახალგაზრდებმა პირადი მარაგიდან შეაგროვეს სხვადასხვა თესლეული, რომლის ფულადი ღირებულება 165.530 მანეთს უდრის.

ამჟამად საკოლმეურნეო მინდვრებზე გაჩაღებულია საგაზაფხულო ხვნა-თესვა. კომკავშირის წინაშე უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანა დგას: რაც შეიძლება მეტი დასთესოს და უხვი მოსავალი აიღოს. კომკავშირი ამ ამოცანას მხოლოდ მაშინ გაართმევს თავს წარმატებით, თუ იგი მთელი საკოლმეურნეო სოფლის ახალგაზრდობას დარაზმავს და გაიყოლიებს. მაგრამ იმისათვის, რომ დარაზმო და გაიყოლიო მთელი ახალგაზრდობა დიდი მნიშვნელობა აქვს პირად მაგალითს. კომკავშირის ბევრი საკოლმეურნეო ორგანიზაცია სწორედ სამაგალითო მუშაობის ნიმუშს იძლევა. მაგალითად, წითელწყაროს სოფელ ქვემო ქედის კოლმეურნეობა „კომუნიზმის გზის“ კომკავშირული ორგანიზაციის ყველა წევრი ჩაბმულია უხვი მოსავლისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში. ისინი თავდადებით მუშაობენ მინდვრებზე, დღიურ დავალებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ და განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სამუშაოთა ხარისხს. კომკავშირელებმა ერთ-ერთი შემოწმების დროს შეამჩნიეს, რომ 28 ჰექტარი ფართობი უხარისხოდ იყო მოხნული. მათ ეს საკითხი დაუყოვნებლივ დასვეს კოლმეურნეობის გამგეობის წინაშე. ნაკლი დროულად იქნა გამოსწორებული. კომკავშირელები საკოლმეურნეო ბრიგადებში უშვებენ სამბრძოლო ფურცლებს, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაჩაღებით რაზმავენ ახალგაზრდობას თესვის დროზე და მაღალხარისხოვნად ჩატარებისათვის. ასე უნდა მუშაობდეს ყველა პირველადი კომკავშირული ორგანიზაცია.

კომკავშირელებმა კოლმეურნეობებში უნდა შეჰქმნან მაღალი მოსავლისათვის მებრძოლი კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადები და რგოლები, ფართოდ გამოიყენონ გასული წლების მდიდარი გამოცდილება, კოლმეურნეობებთან ჩამოაყალიბონ ახალგაზრდობის საკონტროლო საგუშაგოები, რომლებიც შეამოწმებენ ხვნა-თესვის ხარისხს, დაეხმარებიან კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებს ნაკლოვანებათა მხილებასა და სასწრაფოდ გამოსწორებაში.

მთელმა რიგმა პირველადმა კომკავშირულმა ორგანიზაციებმა უკვე შეჰქმნეს ადგილებზე ახალგაზრდული ბრიგადები და რგოლები. გურჯაანის რაიონში შეიქმნა მაღალი მოსავლისათვის მებრძოლი 37 კომკავშირულ-ახალგაზრდული რგოლი და 5 ბრიგადა; გარდა ამისა, შექმნილია 54 კომკავშირული გუთნეული. ისინი სანიმუშოდ მუშაობენ. ასეთი ბრიგადები და რგოლები შეიძლება და უნდა შეიქმნას ყველა კოლმეურნეობაში. საკოლმეურნეო კომკავშირული ორგანიზაციები ყოველმხრივ უნდა დაეხმარონ მათ ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით განაღდებაში.

საგაზაფხულო თესვის დღეებში უაღრესად სერიოზული მნიშვნელობა ენიჭება საagიტაციო-მასობრივი მუშაობის ფართოდ გაშლას. კომკავშირმა მართალი ბოლშევიკური სიტყვით და კონკრეტული საქმეებით უნდა გაიყოლიოს მთელი ახალგაზრდობა საგაზაფხულო თესვის ვადაზე ადრე, მაღალხარისხოვნად ჩატარებისათვის. „კომკავშირელთა მუშაობა უნდა შეფასდეს არა მარტო იმით, რასაც ისინი თვითონ აკეთებენ, არამედ იმითაც, თუ როგორ გაიყოლიეს მათ ახალგაზრდობა, ყველა კოლმეურნე, განსაკუთრებით ქალები“ (მ. ი. კალინინი). თითოეული კომკავშირელი უნდა იყოს გამარჯვების მოსავლის აგიტატორი. კომკავშირელი აგიტატორები უნდა დაეხმარონ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, მტს-ებს საგაზაფხულო სამუშაოთა წარმატებით ჩატარებაში, გამოვიდნენ უხვი მოსავლის მისაღებად ახალგაზრდობის სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორებად.

მიუხედავად იმ თვალსაჩინო წარმატებებისა, რომლებიც საგაზაფხულო ხვნა-თესვის დღეებში საქართველოს კომკავშირულმა ორგანიზაციებმა მოიპოვეს, ამ საქმეში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი. მაგალითად, ვანის, თელავის, გალის რაიონების მთელ რიგ კომკავშირულ ორგანიზაციებს საგაზაფხულო თესვისათვის მზადებაში კომკავშირელთა მონაწილეობის საკითხი თესვის დაწყების დროსაც არ ჰქონდათ განხილული. წითელწყაროს რაიონის სოფელ არბოშიკის კოლმეურნეობა „წითელი არბოშიკის“ კომკავშირულ ორგანიზაციას (კომიტეტის მდივანი მ. ბატიაშვილი) დღემდე არ განუხილავს საგაზაფხულო თესვაში კომკავშირელთა მონაწილეობის საკითხი. კომიტეტის მდივანი არ იცნობს საგაზაფხულო სამუშაოთა გეგმებს. იქ ახალგაზრდები ჩაბმული არ არიან სოციალისტურ შეჯიბრებაში, მათ შორის არ სწარმოებს მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა. სოფელ ჭოგნარის (ქუთაისის რაიონი) კოლმეურნეობის კომკავშირული ორგანიზაციის წევრები ნაკლებად ეხმარებოდნენ კოლმეურნეობას იარაღ-მანქანების შეკეთებასა და თესლის შეგროვება-გადარჩევაში.

კომკავშირის რაიკომების, საკოლმეურნეო კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანაა აღმოფხვრან საგაზაფხულო თესვაში არსებული ნაკლოვანებანი, დარაზმონ მთელი ახალგაზრდობის ძალები უხვი მოსავლის მისაღებად.

საგაზაფხულო თესვის წარმატებით ჩატარებაში კომკავშირის აქტიური, საქმიანი მონაწილეობა უზრუნველყოფილ უნდა იქნას პარტიული ორგანიზაციების ყოველდღიური ხელმძღვანელობითა და დახმარებით. პარტიულმა ორგანიზაციებმა პერიოდულად უნდა შეამოწმონ თესვაში კომკავშირელთა და ახალგაზრდობის მონაწილეობა, დაუსახონ მათ ღონისძიებანი, დაეხმარონ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში.

მახარაძის და ლაგოდეხის რაიონების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა პატრიოტულ თაოსნობას '1944 წელს გამარჯვების მოსავლის მისაღებად სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ საქართველოს ყველა კომკავშირული ორგანიზაცია და მთელი ახალგაზრდობა საქმით უნდა გამოეხმაუროს.

კომკავშირელებო! მოაწყვეთ ლაშქრობა 1944 წელს გამარჯვების მოსავლის მისაღებად, დარაზმეთ სოფლის ახალგაზრდობის მთელი ძალები ამ უაღრესად დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმის წარმატებით ჩასატარებლად. ეს იქნება დახმარება ფრონტისადმი, წითელი არმიისადმი, რომელიც დიდი სტალინის genialური მხედართმთავრობით ბრწყინვალე გამარჯვებებს აღწევს ჩვენი საყვარელი სამშობლოს წმიდათა-წმიდა მიწა-წყლიდან ვერაგი მტრის განდევნაში, გერმანელი ფაშისტი ბარბაროსების დაჩქარებით განადგურებაში.

ნ. ბ. თუმანიშვილის დაჯილდოება

(მოსკოვი, „კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან)

გერმანელ დამპყრობლებთან ბრძოლის ფრონტზე საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის, ამასთან მამაცობისა და გულადობის გამოჩენისათვის, საარტილერიო ნაწილების ჩამოყალიბებისა, წითელი არმიის არტილერიის კადრების მომზადებისა და განაწილების დარგში მოპოვებული თვალსაჩინო წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვა წითელი არმიის გენერლების, ოფიცერთა, სერჟანტთა და რიგითი შემადგენლობის ჯგუფი. სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენით დაჯილდოებულთა შორის არის კაპიტანი ნიკოლოზ ვეორგის-ძე თუმანიშვილი.

ამხანაგის საშველად

მოქმედი არმია, 6 აპრილი (საკდესის სპეც. კორ.). საბჭოთა კავშირის გმირი მფრინავი-გაზანადგურებელი ვასილ კოროლიოვი იფარავდა ჩვენი მოიერიშეების მოქმედებას, რომლებიც ანადგურებდნენ მტრის აეროდრომს. როცა ჩვენი მფრინავები უკან ბრუნდებოდნენ, ლრღლებიდან მოულოდნელად გამოსულმა „მესერშმიტმა“ ცეცხლი წაუკიდა კოროლიოვის თვითმფრინავს. მფრინავი დაიჭრა, ალმა შეურუჯა პირისახე, ფეხები. კოროლიოვმა ტკივილი დასძლია და აირჩია სწორი ადგილი, სადაც დაეშვა ავიაგამანადგურებლით.

ირგვლივ ათობით კილომეტრზე გადაშლილი იყო ტყეები, ჭაობები, უკაცური ტბები. კოროლიოვმა მოიკრიბა უკანასკნელი ძალა და აღმოსავლეთისაკენ გაეშურა, მაგრამ ქანცგამოლეული დაეცა და გონი დაჰკარგა. სწორედ აქ იპოვნეს იგი მესაზღვრეებმა ზემდეგ ერშოვის ვეთაურობით. ისინი გაგზავნილი იყვნენ გმირის საძებრად და ხუთი საათის განმავლობაში 40-ზე მეტი კილომეტრი გაიარეს. დასუსტებული გმირის მახლობლად მალე კოკონი აგიზგიზდა. კოროლიოვი მომაგრდა ცხელი სადილით და დაიძინა. მცირე დრომ განვლო და ვესაზღვრეებს ჰაერიდან მოტორის გუგუნი მოესმათ. მებრძოლი მეგობრები გამოფრენილიყვნენ გმირის საძებნელად. მათ შეამჩნიეს მესაზღვრეთა სიგნალები და ძირს დაეშვნენ უახლოეს ტბაზე. მესაზღვრეებმა დააწვინეს კოროლიოვი თხილამურებზე და თვითმფრინავთან მიიყვანეს.

გმირი გამოეთხოვა თავის მხსნელებს, სახლურად აჩუქა ერშოვს მონადირის დანა და პირობა მისცა აღნიშნოს მეგობარ მესაზღვრეებთან შეხვედრა ახალი გამარჯვებებით საპაერო ბრძოლებში.

ჯ. სუხინი

1944 წლის 10 აპრილს საღამოს 7 საათზე გრიბოედოვის სახელობის თეატრის შენობაში მოწვეულია

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს XI სესია

დეპუტატების რეგისტრაცია იწარმოებს გრიბოედოვის სახელობის თეატრის შენობაში საღამოს 6 საათიდან.

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომი

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

7 აპრილის ოპერატიული ცნობა

7 აპრილის განმავლობაში სპალის დასავლეთით ჩვენი ჯარები ბრძოლებს ეწეოდნენ მოწინააღმდეგის გარშემორტყმული დაჯგუფების მოსახსპობად და იგერიებდნენ მის ცდებს — გაჭრილიყო გარემოცვიდან დასავლეთის მიმართულებით. 6 აპრილს წარმოებულ ბრძოლებში ამ რაიონში ჩვენმა ჯარებმა მოსპეს 4.000-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი და ხელთ იგდეს შემდეგი დავლა: 5 სატრანსპორტო თვითმფრინავი „იუ-52“, 17 სხვადასხვა ჯალიბის ქვემეხი, 7 ტანკი, 1.400 ავტომანქანა. ქალაქ **ტარნოპოლის** სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები იგერიებდნენ მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარისა და ტანკების დიდი ძალების იერიშებს, რომლებიც ცდილობდნენ გამოერილიყვნენ გარშემორტყმული დაჯგუფების დახსმარებლად.

კიშინიოვის მიმართულებით ორი დღის შეუპოვარი ბრძოლების შემდეგ ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს მოლდავეთის სს რესპუბლიკის სამაზრო ცენტრი ქალაქი **ორგეევი** — გერმანელთა თავდაცვის მნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტი **კიშინიოვის** მიახლოებებზე.

ოდესის მიმართულებით ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს ოდესის რაიონული ცენტრი **ბელიაევკა**, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 60-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი და მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები **კაკოკლეევკა, გუდიოლოვკა, ერმეევკა, მანგეეიმი, კარსტალი** (28 კილომეტრზე **ოდესის** ჩრდილო-დასავლეთით), **მაიაკი, მარინოვკა, ნოვაია ემეტოვკა, კუბანკა, სტარაია დოფინოვკა, ნოვაია დოფინოვკა** (16 კილომეტრზე **ოდესის** ჩრდილო-აღმოსავლეთით), **ჩაბანკა, ბრიგოროიევკა** და რკინიგზის სადგურები **კოშკოვო, კრემიდოვკა.** გერმანელთა ჯარების მნიშვნელოვანი ჯგუფი, 5-6 დივიზიის ნაშთებისაგან შემდგარი, გარშემორტყმულია ჩვენი ჯარების მიერ **რაზდელნაიას** ჩრდილოეთით და ჩვენები მას ულტენ. 6 და 7 აპრილის განმავლობაში ამ რაიონში გერმანელებმა ბრძოლის ველზე დატოვეს 5 ათასზე მეტი გვამი. ტყვედ წამოყვანილია 1.000-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ხელთ ვიგდეთ 64 ქვემეხი და 24 ტანკი. სადგურ **ვესიოლი კუტზე** ჩვენმა ჯარებმა ხელთ იგდეს 1.100 ვაგონი სხვადასხვა ტვირთებიანად, მათ შორის 74 ვაგონი ყუმბარებიანად, 31 ვაგონი ავიაბომბებიანად, 81 ვაგონი სურსათ-ფურაჟიანად, 50 ვაგონი ქარხნის მოწყობილობებიანად, რომელიც გერმანელებს **ოდესიდან** გერმანიაში მიეჭვნდათ. წინასწარი ცნობების მიხედვით, ქალაქ და რკინიგზის კვანძ **რაზდელნაიას** დაკავებისას ჩვენმა ჯარებმა ხელთ იგდეს შემდეგი დავლა: 44 ქვემეხი, მათ შორის 12 მძიმე ქვემეხი, 17 ორთქლმავალი, 500 ვაგონი სამხედრო ტვირთებიანად, 3 საწყობი, 6 სარკინიგზო ეშელონი, მათ შორის 1 ეშელონი ქვემეხებიანად და ტანკებიანად და 2 ეშელონი დაჭრილ გერმანელ ჯარისკაცებიანად და ოფიცრებიანად.

ფრონტის სხვა უბნებზე მთელ რიგ პუნქტებში ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოებდა.

6 აპრილის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 40 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 45 თვითმფრინავი.

✿ ✿ ✿

ქალაქ სკალის დასავლეთით ჩვენი ჯარები ბრძოლებს განაგრძობდნენ მოწინააღმდეგის გარშემორტყმული დაჯგუფების მოსახსპობად. ნ შენაერთის ნაწილებმა შეამჭიდროვეს გარემოცვის რკალი და განდევნეს გერმანელები რამდენიმე დასახლებული პუნქტიდან. სხვა უბანზე, ქალაქ მელნიკა-პოდოლსკაიას სამხრეთ-დასავლეთით, საბჭოთა ნაწილებმა მოსწყვიტეს გერმანელთა ჯგუფი ძირითად ძალებს და მოსპეს იგი. ხელთ ვიგდეთ დავლა, რომელთა შორის მრავალი ავტომანქანაა სხვადასხვა სამხედრო ტვირთიანად.

მოწინააღმდეგის გარემოცული ჯარები ცდილობენ რადაც უნდა დაუჯდეთ თავი დაალწიონ „ქვაბს“. გერმანელთა ქვეითი ჯარისა და ტანკების დიდი ძალები არაერთხელ გადმოდიოდნენ იერიშზე დასავლეთის მიმართულებით, მაგრამ ყოველთვის უკუქცეულ იქნენ და მძიმე ზარალი განიცადეს. ამ ბრძოლებში საბჭოთა არტილერისტებმა და ტანკისტებმა დასწვეს და დააზიანეს 19 ტანკი, 3 ჯავშნიანი მანქანა და 200-ზე მეტი ავტომანქანა გერმანელთა ქვეით ჯარიანად.

ქალაქ ტარნოპოლის სამხრეთ-დასავლეთით მოწინააღმდეგის ტანკებმა და ქვეითმა ჯარმა დილიდან განაახლეს იერიშები და ცდილობდნენ გამოჭრილიყვნენ თავისი დაჯგუფების დასახმარებლად, რომელიც გარემოცვაში მოჰყავა. მთელი დღის განმავლობაში გაფფორებული ბრძოლები გრძელდებოდა, რომელთა მსვლელობაში ცალკეული დასახლებული პუნქტები არაერთგზის გადადიოდა ხელიდან ხელში. გერმანელები უდიდეს ზარალს ნახულობენ ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ. ერთი დღის განმავლობაში მარტო ერთმა ჩვენმა შენაერთმა მოსპო მოწინააღმდეგის 13 ტანკი, 6 თვითმავალი ქვემეხი, 4 ჯავშნიანი მანქანა და ერთ პოლკამდე ქვეითი ჯარი.

• • •

კიშინიოვის მიმართულებით ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ. შეუპოვარი ბრძოლები სწარმოებდა ქალაქ ორგეევის რაიონში, რომელიც მდინარე რეუტის ჩრდილოეთ ნაპირზე მდებარეობს. ორგეევის მისადგომებზე გერმანელებმა თავდაცვითი ნაგებობანი ააგეს და ეს ქალაქი თავიანთი თავდაცვის ძლიერ გამაგრებულ პუნქტად გადაქციეს. ორი დღის განმავლობაში საბჭოთა ნაწილები ერეკებოდნენ ჰიტლერელებს სიმაგრეებიდან და დაიკავეს ნაბიჯ-ნაბიჯ უაზოლოდბოდნენ ქალაქს. მეორე დღის დასასრულს ჩვენმა ჯარებმა გააფთრებული ბრძოლების შემდეგ დაიკავეს მოლდავეთის სს რესპუბლიკის სამაზრო ცენტრი ქალაქი ორგეევი. ჩვენმა გვარდიელებმა კვალდაკვალ მისდიეს პანიკით მოცულ უკანდახეულ გერმანელებს, გადალახეს მდინარე რეუტი და ხელთ იგდეს პლაცდარმი მის სამხრეთ ნაპირზე. ორგეევისათვის ბრძოლებში მოწინააღმდეგემ დიდი ზარალი ნახა ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

• • •

ოდესის მიმართულებით ჩვენი მოძრავი შენაერთები და ქვეითი ჯარი ბრძოლებით მიიწევდნენ წინ და დაიკავეს ოდესის ოლქის რაიონული ცენტრი ბელიაევკა, აგრეთვე დასახლებული პუნქტი მაიაკი, რომელიც ქალაქ ოდესის დასავლეთით 30 კილომეტრზე მდებარეობს. ნ ნაწილის ქვეგანაყოფებმა შემოვლითი მანევრი მოახდინეს, მოწინააღმდეგე მდინარე მალი კუალნიკთან მიიმწყვდიეს და გააფთრებულ ბრძოლაში გაელიტეს ერთ ბატალიონამდე ჰიტლერელი. 300-მა გერმანელმა ჯარისკაცმა და ოფიცერმა წინააღმდეგობა შესწყვიტა, იარაღი დაჰყარა და ტყვედ დაგნებდა. საბჭოთა მებრძოლებმა განაგითარეს წარმატება, წინ წაიწიეს სამხრეთისაკენ, კუალნიკისა და ხაჯიბეის ლიმანებს შუა და დაიკავეს მთელი რიგი დასახლებული პუნქტები. რაზდელნაიას ჩრდილოეთით მდებარე რაიონში გარშემორტყმულია მოწინააღმდეგის ხუთი-ექვსი დივიზიის ნაშთები. გერმანელებმა გაშმაგებით სცადეს გაჭრილიყვნენ ჩრდილო-დასავლეთისაკენ. თავდაპირველად მათ მოახერხეს რამდენადმე წინ წაწევა და ქალაქ რაზდელნაიას ჩრდილოეთით მდებარე რაიონში გასვლა. საბჭოთა ჯარებმა სწრაფი მანევრით უკანდასახევი გზები გადაუჭრეს მოწინააღმდეგეს და ეწევიან ბრძოლებს მის მოსახსპობად. ორი დღის განმავლობაში ამ რაიონში მოკლულია 5 ათასზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ხელთ ვიგდეთ დიდძალი დავლა და ტყვეები.

• • •

წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის ავიაციამ დღეს ბალტიის ზღვაში აღმოაჩინა მოწინააღმდეგის ბადრაგი ტრანსპორტისა და სამი სადარაჯო გემის შემადგენლობით. ტორპედოსანი თვითმფრინავის იერიშის შედეგად ჩაძირულია მოწინააღმდეგის ტრანსპორტი 12 ათასი ტონა წყალწყვეთა.

ფინეთის ყურეში ჩაძირულია მოწინააღმდეგის ტრანსპორტი 500 ტონა წყალწყვეთა.

• • •

ვოლინის ოლქში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა მარტის ბოლო რიცხვებში იერიში მიიტანა მტრის დასაყრდენ პუნქტზე. ბრძოლის შედეგად მოწინააღმდეგის გარნიზონი განადგურებულ იქნა. პარტიზანებმა გაელიტეს 75 უნგრელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ტყვედ წამოყვანილია 67 უნგრელი. პარტიზანებმა ხელთ იგდეს 8 ტყვიამფრქვევი, 125 შაშხანა, 2 რადიოსადგური და დიდძალი ვაზნა. ამ რაზმის პარტიზანთა ჯგუფმა ლანდაგიდან დააგდო მოწინააღმდეგის ჯავშნიანი მატარებელი და ორი სამხედრო ეშელონი. სხვა პარტიზანული რაზმის მზვერავებმა ტყვიამფრქვევის ცეცხლით დაზიანეს გერმანელთა თვითმფრინავი „ფოკე-ვულფ-198“. თვითმფრინავი იძულებით დაეშვა ძირს, ორი მფრინავი ტყვედ არის წამოყვანილი. გერმანელთა თვითმფრინავი პარტიზანებმა დასწვეს.

• • •

დაბა ვოსხოდის, კოროტკოეიჩის, ბროდკის, კრასნოვკის, დუბროვის, ანტონოვკისა და სხვა სოფლების მრავალი მცხოვრები ჰიტლერელი მტარვალებისაგან თავის გადასარჩენად იმალებოდა პოლესიეს ოლქის სოფელ ოლაში და ამ სოფლის მახლობლად მდებარე ტყეში. გერმანელმა ფაშისტმა დამპყრობლებმა 14 იანვარს რკალი შემოარტყეს სოფელ ოლას და მხეცურად გაუსწორდნენ მშვიდობიან საბჭოთა მოქალაქეებს. გამხეცებულმა ჰიტლერელებმა მოხუცები, ქალები და ბავშვები სახლებსა და ფარდულებში შერეკეს, ჩაკეტეს იქ, შემდეგ კი ცოცხლად დასწვეს. ფაშისტი მტარვალები აღმოდებულ სახლებში გრანატებს ისროდნენ, ავტომატებს უშენდნენ და თვალყურს ადევნებდნენ, რომ ვერავინ გაქცეულიყო. ერთ ფარდულში—სოფლის ჩრდილო-დასავლეთ განაპირას, გერმანელებმა 70-მდე კაცი დასწვეს ცოცხლად. ცეცხლში დაიღუპნენ ალექსანდრა ზიკუნი — 95 წლისა, ოკომ კურულეოვიჩი—85 წლისა, სტეფანე ზიკუნი—81 წლისა, ძეძუთა ბავშვები—ალექსანდრე უსტიმენკო—ორი თვისა, ფენია ზიკუნი—სამი თვისა და სხვა მრავალი. ამ სოფლის ცოცხლად გადარჩენილ მცხოვრებთა სიტყვით, გერმანელებმა ამ დღის განმავლობაში დახვრიტეს და დასწვეს ათასზე მეტი მამაკაცი, ქალი და ბავშვი.

საბჭოთა მფრინავების საბრძოლო მოქმედება

მოქმედი არმია, 7 აპრილი (საკდესის სპეც. კორ.). ერთი დიდი დასახლებული პუნქტის მისადგომებზე სასტიკი ბრძოლები გაჩაღდა ჰაერში. სტალინურ შეიარდნებს იერიში მიაქვთ გერმანელთა შეჯგუფებებზე, ბომბავენ მათ, ანადგურებენ მტრის წინააღმდეგობის კვანძებს, იფარავენ ჩვენს ნაწილებს ჰაერიდან იერიშებისაგან.

ლეიტენანტი ვლადიმერ სეროვი 8 ავიაგანადგურებლით გაფრინდა ბრძოლის ველის დასაცავად. ფრონტის ხაზს გადაღმა მფრინავები 32 ბომბდამშენ „იუნკერს—87“-ს და 10 „ფოკე-ვულფ—190“-ს შეხვდნენ. თუმცა ძალები მეტად უთანასწორო იყო, სეროვმა გადასწყვიტა იერიში მიეტანა ფაშისტთა თვითმფრინავებზე. სეროვმა დაავალა კაპიტან აგეევს — დაეცვა იერიში, თვითონ კი შეებრძოლა ჰტრის წინამძღოლ მანქანას. მან იერიში მიიტანა ქვემოდან — 50 მეტრის დისტანციიდან. პირველივე ჯერით ფაშისტი მფრინავი მოკლულ იქნა, თვითმფრინავი კი მიწას დაენარცხა.

იერიშიდან გამოსვლისას სეროვმა დაინახა, რომ მისი თანამებრძოლი ლეიტენანტი ვედენეევი ბრძოლას ეწეოდა სხვა ფაშისტურ თვითმფრინავთან. მან მოხერხებულად დაიფარა ვედენეევი, რომელმაც მალე ჩამოაგდო ორი ფაშისტური ბომბდამშენი. ბრძოლის შედეგად მოწინააღმდეგის გარნიზონი განადგურებულ იქნა. პარტიზანებმა გაელიტეს 75 უნგრელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ტყვედ წამოყვანილია 67 უნგრელი. პარტიზანებმა ხელთ იგდეს 8 ტყვიამფრქვევი, 125 შაშხანა, 2 რადიოსადგური და დიდძალი ვაზნა. ამ რაზმის პარტიზანთა ჯგუფმა ლანდაგიდან დააგდო მოწინააღმდეგის ჯავშნიანი მატარებელი და ორი სამხედრო ეშელონი. სხვა პარტიზანული რაზმის მზვერავებმა ტყვიამფრქვევის ცეცხლით დაზიანეს გერმანელთა თვითმფრინავი „ფოკე-ვულფ-198“. თვითმფრინავი იძულებით დაეშვა ძირს, ორი მფრინავი ტყვედ არის წამოყვანილი. გერმანელთა თვითმფრინავი პარტიზანებმა დასწვეს.

• • •

ქალაქ სკალის დასავლეთით ჩვენი ჯარები ბრძოლებს ეწეოდნენ მოწინააღმდეგის გარშემორტყმული დაჯგუფების მოსახსპობად. ნ შენაერთის ნაწილებმა შეამჭიდროვეს გარემოცვის რკალი და განდევნეს გერმანელები რამდენიმე დასახლებული პუნქტიდან. სხვა უბანზე, ქალაქ მელნიკა-პოდოლსკაიას სამხრეთ-დასავლეთით, საბჭოთა ნაწილებმა მოსწყვიტეს გერმანელთა ჯგუფი ძირითად ძალებს და მოსპეს იგი. ხელთ ვიგდეთ დავლა, რომელთა შორის მრავალი ავტომანქანაა სხვადასხვა სამხედრო ტვირთიანად.

ოდესის მიმართულებით ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს ოდესის ოლქის **ბელიაევკა**, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 60-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი და მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები **კაკოკლეევკა, გუდიოლოვკა, ერმეევკა, მანგეეიმი, კარსტალი** (28 კილომეტრზე **ოდესის** ჩრდილო-დასავლეთით), **მაიაკი, მარინოვკა, ნოვაია ემეტოვკა, კუბანკა, სტარაია დოფინოვკა, ნოვაია დოფინოვკა** (16 კილომეტრზე **ოდესის** ჩრდილო-აღმოსავლეთით), **ჩაბანკა, ბრიგოროიევკა** და რკინიგზის სადგურები **კოშკოვო, კრემიდოვკა.** გერმანელთა ჯარების მნიშვნელოვანი ჯგუფი, 5-6 დივიზიის ნაშთებისაგან შემდგარი, გარშემორტყმულია ჩვენი ჯარების მიერ **რაზდელნაიას** ჩრდილოეთით და ჩვენები მას ულტენ. 6 და 7 აპრილის განმავლობაში ამ რაიონში გერმანელებმა ბრძოლის ველზე დატოვეს 5 ათასზე მეტი გვამი. ტყვედ წამოყვანილია 1.000-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ხელთ ვიგდეთ 64 ქვემეხი და 24 ტანკი. სადგურ **ვესიოლი კუტზე** ჩვენმა ჯარებმა ხელთ იგდეს 1.100 ვაგონი სხვადასხვა ტვირთებიანად, მათ შორის 74 ვაგონი ყუმბარებიანად, 31 ვაგონი ავიაბომბებიანად, 81 ვაგონი სურსათ-ფურაჟიანად, 50 ვაგონი ქარხნის მოწყობილობებიანად, რომელიც გერმანელებს **ოდესიდან** გერმანიაში მიეჭვნდათ. წინასწარი ცნობების მიხედვით, ქალაქ და რკინიგზის კვანძ **რაზდელნაიას** დაკავებისას ჩვენმა ჯარებმა ხელთ იგდეს შემდეგი დავლა: 44 ქვემეხი, მათ შორის 12 მძიმე ქვემეხი, 17 ორთქლმავალი, 500 ვაგონი სამხედრო ტვირთებიანად, 3 საწყობი, 6 სარკინიგზო ეშელონი, მათ შორის 1 ეშელონი ქვემეხებიანად და ტანკებიანად და 2 ეშელონი დაჭრილ გერმანელ ჯარისკაცებიანად და ოფიცრებიანად.

ფრონტის სხვა უბნებზე მთელ რიგ პუნქტებში ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოებდა.

6 აპრილის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 40 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 45 თვითმფრინავი.

ქართული მუსიკის კონცერტი მოსკოვში

(მოსკოვი, „კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან)

მოსკოვში ახლო მომავალში გაიმართება ქართული მუსიკის კონცერტები ცნობილი ქართველი მომღერლებისა და დამკვრელების შესრულებით. მოსკოველები კვლავ შეხვდებიან საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო არტისტებს გამრეკელს, სოხაძე

სასახელო შრომის დღიური

საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრება

მეშახტე-სტახანოველები — დედა-სამშობლოს

ტყიბულ-ვანახშირის ტრესტში ყველაზე მოწინავეა დასავლეთ შახტის პირველი საექსპლოატაციო უბანი, რომელსაც ახალგაზრდა სამთო ტექნიკოსი ამხ. შ. შოთაძე ხელმძღვანელობს. ამ უბანმა თებერვალში მრავალი ასი ტონა ქვანახშირი ამოიღო გეგმის გადამეტებით, რისთვისაც ჯილდოდ მიიღო გარდამავალი წითელი დროშა.

გმირი წითელი არმიის ისტორიული გამარჯვებებით აღფრთოვანებულმა მეშახტეებმა მარტში კიდევ უფრო გააძლიერეს მუშაობა მათ 1944 წლის პირველი კვარტალის დავალება ჯერ კიდევ 24 მარტს 117 პროცენტით შეასრულეს. ამხ. შოთაძის უბანი ერთ-ერთი პირველი ჩაება მეშახტეთა საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში და დიდ წარმატებებსაც აღწევს. ეს უბანი ახლა გეგმის გადამეტებით 140-155 ტონა მაღალხარისხოვან ქვანახშირს აძლევს ყოველდღიურად დედა-სამშობლოს.

დასავლეთ შახტში პირველ საექსპლოატაციო უბანზე ბევრი სახელმოხვეჭილი „შავი ოქროს“ მომპოვებელი სტახანოველი მეშახტე მუშაობს. ასეთები არიან ორდენოსანი და მედალოსანი მეშახტეები — შ. ფურცხვანიძე, შ. კახიძე, დ. სუქნიძე, კ. ყიფშიძე და სხვ., რომლებმაც უკვე შეასრულეს ამ წლის 6-8 თვისთვის გათვალისწინებული საწარმოო დავალებები.

დ. ქათამაძე

150—200 პროცენტი ყოველდღიურად

წითელი არმიის ძლევამოსილ წინსვლას ჭიათურის მარგანტრესტის ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს კოლექტივი (დირექტორი დ. ერგემლიძე, პარტბიუროს მდივანი ვ. თურქაძე) ახალი საწარმოო გმირჯვებებით უპასუხებს.

მაღაროს კოლექტივმა ვადამდე — 28 მარტისათვის შეასრულა მარგანეცის გამოღებისა და სასაქონლო პროდუქციის დამზადების მარტის დავალება. შესრულდა აგრეთვე სასაქონლო პროდუქციის დამზადების პირველი კვარტალის გეგმა. მარტში სერიოზულად გაიზარდა შრომის ნაყოფიერებაც, რაც შედეგია შრომის ორგანიზაციის საზოგადოებრივი დათვალიერებისა.

განსაკუთრებული თავდადებით მუშაობენ უბნები, რომლებსაც ამხ. ს. კალაძე და მ. კენჭოშვილი ხელმძღვანელობენ. აგრეთვე პერფოქსიდის გამამდიდრებელი ქარხანა ინ. ალ. მოდებაძის ხელმძღვანელობით. ისინი გეგმის გადამეტებით იძლევიან მაღალხარისხოვან მარგანეცს.

მარგანეცის გამოღების ყოველდღიურ გეგმებს 150-200 პროცენტით ასრულებენ სტახანოველები ამხ. ჰ. მიროტაძე, ა. გაფრინდაშვილი, გ. ჭიღლაძე და სხვ.

მაღაროს კოლექტივი საპირველმაისო შეჯიბრების გაწლილ გეგმის გადამეტებით იძლევა მნიშვნელოვანი რაოდენობის მაღალხარისხოვან მარგანეცს.

ჯ. ჭიოკაძე

სანიმუშო წესრიგისთვის თბილისის სამგზავრო სადგურზე

თბილისის რკინიგზის სამგზავრო სადგურის მოწინავე ადამიანები ჩაებნენ საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში და წარმატებით მუშაობენ იმისთვის, რომ ეს სადგური ამიერ-კავკასიის რკინიგზის მოწინავე სადგურთა წყებაში ჩააყენონ. კომკავშირელი რკინიგზელები რ. ბუღაძე, ქ. დოლიძე, მ. რამაშვილი, ნ. ჩიტაშვილი და სხვ. მუშაობისაგან თავისუფალ დროს გამოდიან და ეხმარებიან მორიგე რკინიგზელებს მატარებლების მიღებგასტუმრებაში, მგზავრთა ჩასხდომა-გადმოსხდომაში, პერონზე სანიმუშო წესრიგის დამყარებაში.

გაჩაღებულია მუშაობა სამგზავრო სადგურის დარბაზებსა და სადგურსმახლობელ ტერიტორიაზე სანიმუშო სისუფთავისათვის და მგზავრთათვის თავაზიანი და კულტურული მომსახურების გაწევისათვის.

წარმატებით მუშაობენ თბილისის საქონლის სადგურის რკინიგზელებიც. საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისას მათ იკისრეს 30 პროცენტის გადამეტებით შეასრულონ ვაგონების დატვირთვის ყოველდღიური დავალებები და 15 პროცენტით შეამცირონ ვაგონების მოცდენა გადმოტვირთვის ოპერაციების დროს.

განვაამლოთ უკრაინისა და საქართველოს რკინიგზელთა ფრაქციული შეჯიბრება!

სტალინის რკინიგზის ნიჟნედნეპროვსკის კვანძის საოლქო-მავლო დეპოს კოლექტივის წერილი ამიერ-კავკასიის რკინიგზის თბილისის საოლქო-ძლავლო დეპოს კოლექტივისადმი

ჩვენო ძვირფასო ამხანაგებო და ძმებო! საბჭოთა უკრაინის რკინიგზელები მხურვალე საბრძოლო სალამს გითვლიან თქვენ, თბილისის რკინიგზელებს.

ჩვენ თქვენი ძველი მეგობრები ვართ. დიდ სამამულო ომამდე, 1938 წლიდან მოკიდებული, ჩვენი დეპოები ერთიმეორეს ეჯიბრებოდნენ სოციალისტურ მუშაობისათვის, ძალიან საწარმოო მაჩვენებლებისათვის. ჩვენ ერთიერთს გამოცდილებას ვუზიარებდით, ვეხმარებოდით ერთმანეთს რჩევით, საქმით.

ომამდე ჩვენი დეპო გაითქმული იყო, როგორც ერთ-ერთი უდიდესი დეპო საბჭოთა კავშირში. იგი აღჭურვილი იყო ყველაზე უფრო თანამედროვე ტექნიკური მოწყობილობით, ახალი დაზგებით, ხელსაწყოებით. ჩვენი დეპო ახალი სერიების მანქანათა ათვისების თვისებური ლაბორატორია იყო. ჩვენ წარმატებით ვიყენებდით, ვიუმჯობესებდით გარეცხვითი რემონტიდან ორთქლმავალთა გამოშვების სწრაფ მეთოდებს.

ჩვენს დეპოში ძრავალი შესანიშნავი ადამიანი აღზარდა მათ შორის — მემანქანე შმატკო — ორდენოსანი, სსრ კავშირის უმღერესი საბჭოს დეპუტატი, მემანქანე კაპლანი, დაჯილდოებული ლენინის ორდენით, საპატიო რკინიგზელები ცარკოვი, ეროხინი და სხვები.

ჰყვაოდა ჩვენი სამშობლო, ჰყვაოდნენ საბჭოთა კავშირის თვალმარგალიტები უკრაინა და საქართველო. ჩვენ თქვენთან ერთად დაუღალავად ვშრომობდით ჩვენი დიადი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ომმა დროებით შესწყვიტა ჩვენი შეჯიბრება, მაგრამ მას არ შეეძლო ჩვენი მეგობრობის შეწყვეტა. სამამულო ომის დღეებში ეს მეგობრობა კიდევ უფრო განმტკიცდა და გამოიწრთო.

და ახლა ჩვენ წერილს გიგზავნით, ძვირფასო ამხანაგო თბილისელებო. ჩვენ წინადადებით მოგმართავთ კვლავ გავვაამლოთ ჩვენი დეპოების შეჯიბრება, რათა ისევ ერთობლივი შეხმატკბილებული ძალით ვიმუშაოთ სამშობლოსათვის, მოსისხლე მტერზე საბრძოლო გამარჯვებისათვის სამეშაო კი ამჟამად მეტად ბევრი გვაქვს.

წყეულმა ვერმანელებმა მიწასთან გაასწორეს ჩვენი ძმენაერი დეპო, აიფეთქეს ყველა საამქრო და შენობა. ჩვენ ნანგრევებზე მოვედით, მაგრამ ამას არ შეეშინებიართ. უდიდესი აღფრთოვანებით მოვკიდეთ ხელი მშობლიური დეპოს აღდგენას.

მოკლე ვადაში ჩვენ პირველ შედეგებს მივაღწიეთ. უკვე მუშაობენ დამხმარე, მექანიკური, საინსტრუქციტო, მცირე სამსხმელო, ავტომატური და დამამზადებელი საამქროები. მოწყობილია საერთო საცხოვრებელი, მოგვარებულია საზოგადოებრივი კვება. ყველაფერი ეს საკუთარი ხელით, ჩვენი საკუთარი რესურსებით გავაკეთეთ.

პირობას ვიძლევით პირველი ივლისისათვის მთლიანად აღვადგინოთ ჩვენი დეპოს სამი სექცია და ცენტრალური საცეცხლფარეშო. ამავე ვადაში ჩვენ ვფიქრობთ 600 ტონა წონის ესტაკადის აღდგენას. ეს გაბედული ღონისძიებაა, მაგრამ იგი ჩვენს ქვეყანას სულ მცირე ორი მილიონი მანეთის ეკონომიას მიცემს. მთელი კოლექტივი ანთებულია ერთი სურვილით — ჩაეტიოს მოცემულ გრაფიკში და მოკლე ვადაში, მთლიანად აღადგინოს დეპო.

ბევრი ჩვენი ამხანაგი ნამდვილი სტახანოვური შრომის ნიმუშებს გვიჩვენებს. წარმატებით მუშაობენ სიფრონტო ბრიგადების ოსტატები ოსტაპჩუკი, ტიტარენკო, მემანქანე ტატარკო, მემანქანე — ინსტრუქტორი ნაგორნი, მემანქანეები კასტრენკო, ალექსეეკი და სხვები.

ჩვენ ამჟამად უკვე გვაქვს საორთქლმავლო პარკი, მხოლოდ ოდნავ ნაკლები, ვიდრე იგი ომამდე იყო.

მაშ მოდით, ამხანაგო თბილისელებო, განვაამლოთ ჩვენი ტრადიციული შეჯიბრება, რომელიც მუდამ ასე გვეხმარებოდა მუშაობაში. მოდით კვლავ შევეჯიბროთ ერთმანეთს, რათა თავდადებული შრომით დავეხმაროთ მამაც წითელ არმიას ფამასტების საბოლოო განადგურებაში.

ველით თქვენგან სპასუხო წერილს, ძვირფასო მეგობრებო, ველით თქვენგან ძმურ დახმარებას გერმანელების მიერ დანგრეული საგზაო მეურნეობის აღდგენის საქმეში.

ახალი ძალით ჩაღდება უკრაინისა და საქართველოს შესანიშნავი შეჯიბრება! იგი მოგვიტანს ახალ საწარმოო გამარჯვებებს.

სტალინის რკინიგზის ნიჟნედნეპროვსკის კვანძის საორთქლმავლო დეპოს კოლექტივის დავალებით: დეპოს უფროსი ვ. ბაიდა, დეპოს უფროსის მოადგილენი ვ. პარხომოვკო, ა. ერმოხინი, პარტორგანიზაციის მდივანი ნ. პიროგოვი, კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი ბ. დმიტრიევი, ადგილკომის თავმჯდომარე ბ. პროსკურა, მემანქანე-ინსტრუქტორი ი. ნაგორნი, ოსტატები ჯ. ოსტაპჩუკი, ვ. ტიტარენკო, სტახანოველი ზეინკალი ვ. სოზიკინი.

სოციალისტური შეჯიბრება გაბარკვების მოსაგზადისათვის

ვინ რა ვალდებულება იკისრა

თელავის რაიონი

კოლმეურნეებმა და სოფლის მეურნეობის მუშაკებმა ლაგოდეხელთა პატრიოტულ თაოსნობას უპასუხეს შემდეგი ვალდებულებებით: 1944 წელს ჰექტარზე საშუალოდ მიიღონ 9 ცენტნერი ხორბალი, 16 ცენტნერი სიმინდი;

წითელ ფრონტელთა ოჯახების დასახმარებლად დასთესონ 100 ჰექტარი სიმინდი, ჰექტარზე საშუალოდ რაიონში მოიყვანონ 55 ცენტნერი ყურძენი, 110 ცენტნერი გერანის მწვანე მასა, დამასკოს ვარდის მოსავლის გეგმა შეასრულონ 150 პროცენტით, ერთ კოლოფ აბრეშუმის თესლზე მიიღონ 50 კილოგრამი პარკი;

მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმა შეასრულონ დაწესებულ ვადაზე 4 თვით ადრე, ხორცის, რძის ნაწარმის და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების დამზადების წლიური გეგმა შეასრულონ 1 ივლისამდე.

თელავის რაიონმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია გურჯაანის რაიონი.

ლანჩხუთის რაიონი

სოფლის მეურნეობის მოწინავეთა შეკრების მონაწილეებმა მახარაძელთა მიმართვის პასუხად იკისრეს: სრულმოსავლიანი ჩაის პლანტაციის თითოეულ ჰექტარზე მიიღონ საშუალოდ რაიონში 1.800 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი;

ჰექტარზე მოიყვანონ 17 ცენტნერი სიმინდი, ნაცვლად შარშან მიღებული 12,5 ცენტნერისა;

სახელმწიფო გეგმის გადამეტებით თავდაცვის ფონდისათვის და წითელ ფრონტელთა ოჯახების დასახმარებლად დასთესონ 120 ჰექტარი სიმინდი;

გერმანელ ფაშისტთა ოკუპაციისაგან განთავისუფლებულ რაიონებს გაუგზავნონ 555 სული პირუტყვი.

ლანჩხუთის **რაიონმა** სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია ცხაკაიას რაიონი.

წალენჯიხის რაიონი

სტახანოველმა კოლმეურნემ თ. ძაძამიამ პირობა დასდო, რომ წელს მთელ სეზონში ძოჭკრეფს 10.000 კილოგრამ ჩაის მწვანე ფოთოლს და ჩაის კრეფის სტახანოვურ ხერხებს შეასწავლის ახალგაზრდა მკრეფავებს;

საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა გრ. შეროზიამ კოლექტივის სახელით იკისრა გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბაროს 20 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი.

სოფელ ფახულანის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა 70 წლის ჰ. გოგოხიამ მახარაძელთა მოწოდების პასუხად პირობა დასდო, რომ წელს გამოიმუშავებს 900-მდე შრომადღეს. შარშან მან 800 შრომადღე გამოიმუშავა.

წალენჯიხის რაიონმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია ცხაკაიას რაიონი.

საბარეჯოს რაიონი

სოფლის მეურნეობის მოწინავეთა შეკრების მონაწილეებმა გადასწყვიტეს ჩაებან სოციალისტურ შეჯიბრებაში და თავის მხრივ იკისრეს: თითოეულ ჰექტარზე საშუალოდ რაიონში მოიყვანონ 9 ცენტნერი საშემოდგომო თავთავიანი მარცვლეული, 13 ცენტნერი სიმინდი, 50 ცენტნერი ყურძენი;

ყოველ 100 სულ ძროხასა და ფურკამეჩზე გამოზარდონ 85 სული ხბო და ზაქი, ყოველ 100 ფაშატზე — 70 კვიცი, ყოველ 100 სულ დედაცხვარსა და თხაზე — 95 ბატკანი და ციკანი, ცხრა თვისაზე უხნეს დედაღორზე — 10 გოჭი.

ოსტაჯის ჩაი

ქობულეთის რაიონის ახალი ვალდებულება

ზუგდიდი („კომუნისტის“ ხაკ. კორ.). კოლმეურნეობა „ნგირის“ ცნობილმა სტახანოველმა ლენინის ორდენოსანმა ქეონია სარსანიამ გასულ წლებში ჩაის მწვანე ფოთლის საარეკორდო მოსავალი მიიღო. ნახულობთ იმ ბუჩქებს, რომელთაც სარსანია უვლის, და გული სიხარულით გეკვსებათ: ჩაის ხავერდოვანი პლანტაციები საუკეთესოდ მოვლილია.

ქეონია სარსანია 0,8 ჰექტარ ჩაის პლანტაციას უვლის. ამ პლანტაციაზე მან 1940 წელს მოჭკრიფა და სახელმწიფოს ჩააბარა 16.520 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი, 1941 წელს —18.318 კილოგრამი, 1942 წელს — 25.000 კილოგრამი, ხოლო შარშან—26.200 კილოგრამი.

როგორ მიაღწია მან ჩაის საარეკორდო მოსავალს? უწინარეს ყოვლისა იმით, რომ თვალსაჩინოთ უვლის ჩაის ბუჩქებს, დიდ ყურადღებას აქცევს მის დამუშავებას, მტკაცედ იცავს აგროტექნიკურ ღონისძიებებს. ყოველწლიურად აწარმოებს პლანტაციის მსუბუქ დაბარვას, ზაფხლის პერიოდში 5-6-ჯერ აფხვიერებს პლანტაციას. სარსანია ჩაის ბუჩქების გასხვლას აწარმოებს ოვალური ფორმით, რითაც აღწევს ჩაის დუჟების გადიდებას. გარდა მინერალური სასუქისა, პლანტაციაში ყოველწლიურად შეაქვს 100-120 ტონა ნაკელის წვენი. ამ ღონისძიებას მაშინ ატარებს, როცა ატმოსფერული ნალექები ნაკლებია და ბუჩქების ვეგეტაცია სუსტად მიმდინარეობს.

ქეონია სარსანია ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის დიდი ოსტატია. ის ჩაის ფოთოლს ერთდროულად ორივე ხელით ჭკრეფს და დიდიერ ნორმებს სისტემატიურად აჭარბებს 800-1.000 პროცენტით. 2.900 კილოგრამი, 3.322 კილოგრამი და 5.234 კილოგრამი — აი როგორია ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის მისი სარეკორდო მაჩვენებლები.

წითელი არმიის უმადლესო წარმატებებით აღფრთოვანებულმა ჰატრიოტმა წელს ჩაის პლანტაციებში ყველა სამუშაო მაღალხარისხოვნად შეასრულა. მახარაძელთა ინიციატივის პასუხად, სარსანიამ იკისრა წელს 0,8 ჰექტარ ჩაის პლანტაციაზე მიიღოს გამარჯვების მოსავალი — 29.000 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი.

ამხ. ქეონია სარსანია პირნათლად შეასრულებს თავის დაპირებას, და ამით თავის წვლილს შეიტანს საძულველი მტრის საბოლოო განადგურების დაჩქარებაში.

ხ. ბერულავა

ორი მეგობარი, გვარდიელები მიხეილ ლებედინსკი და ტიმოთე ლალიოვენკო, რომლებიც დაჯილდოებულნი არიან დიდების III ხარისხის ორდენით. ერთ-ერთი სიმაღლის აღების დროს ხელჩართულ ბრძოლაში მათ ხელთ იგდეს მტრის ტყვიამფრქვევი და მიაბრუნეს მტრის წინააღმდეგ.

ფოტო ი. ტაფანისა (საკდესის ფოტოქრონიკა)

საერთაშორისო ცხოვრებიდან

გაზეთ „სენ“-ის არაჩვეულებრივი აღმოჩენა

საზღვარგარეთული პრესა გაცხოველებით იხილავს ევროპაში მეორე ფრონტის გახსნის პერსპექტივებს. ამასთან დაკავშირებით ეხებიან იმ მიზეზებსაც, რომელთა გამო მოკავშირეთა სარდლობას აქამდე არ დაუწყია შეჭრა ევროპის კონტინენტზე. ყოველგვარ მოსაზრებათა და ვარაუდთა შორის, რომელთაც გამოსთქვამენ ამ საკითხის გამო სხვადასხვა მიმმხილველენი, გვხვდება ცდებიც იმგვარად წარმოადგინონ საქმე, თითქოს ძირითადი მიზეზი, რაც აქამდე წინ ეღობებოდა მოკავშირეებს ევროპაში მეორე ფრონტის გახსნის საქმეში, არის... საბჭოთა კავშირისათვის საომარი მასალების მიწოდება! კერძოდ, ასეთი „თეორიით“ გამოვიდა თებერვლის ბოლოს ნიუ-იორკის გაზეთი „სენი“. იმოწმებდა რა „ვაშინგტონელი სამხედრო ექსპერტების“ აზრს, ეს გაზეთი სწერდა:

„ის საჭურველი და სხვა მასალები, რაც იგზავნებოდა საბჭოთა კავშირში წითელი არმიის დასახმარებლად მის თავგანწირულ გმირულ ბრძოლაში, გამოყენებული რომ ყოფილიყო ინგლისისა და ამერიკის არმიების შესაიარაღებლად, მაშინ სავსებით შესაძლოა დასავლეთიდან შეჭრა დიდი ხნით ადრე განხორციელებულიყო“.

მსგავსი მტკიცებანი, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამას თან ახლავს სრულიად უცნობი „სამხედრო ექსპერტების“ ავტორიტეტის მოშველიება, ცოტა რომ ვთქვათ, საფუძველს მოკლებულია.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისში საომარი მასალების წარმოებამ უდიდეს მოცულობას მიაღწია. 19 იანვარს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო წარმოების საქმეთა სამმართველოს ხელმძღვანელმა დონალდ ნელსონმა სიტყვა წარმოსთქვა და განაცხადა, რომ ომის ორი წლის მანძილზე შეერთებულ შტატებში დამზადებულ იქნა 134 ათასი თვითმფრინავი, 424 ათასი ქვემეხი, 148 ათასზე მეტი ტანკი და სხვა საბრძოლო მანქანა, 1.160 მილიონზე მეტი საომარი მასალების კომპლექტი.

რა მიიღო საბჭოთა კავშირმა ამ გიგანტური რაოდენობის შეიარაღებიდან? უცხო სახელმწიფოებში ეკონომიური საქმიანობის ამერიკის შეერთებული შტატების სამმართველოს თავმჯდომარის კროლის განცხადებით, 1944 წლის 1 იანვრამდე მთელი პერიოდის განმავლობაში ამერიკის შეერთებული შტატებიდან სსრ კავშირში გამოიგზავნა 7.800-ზე მეტი თვითმფრინავი და 4.700-ზე მეტი ტანკი და ტანკსაწინააღმდეგო ზარბაზანი.

ამრიგად, ამერიკის შეერთებულ შტატებში აგებული 134 ათასი თვითმფრინავიდან საბჭოთა კავშირში გამოიგზავნა 8 ათასზე ნაკლები, ხოლო 148 ათასი ტანკიდან და სხვა საბრძოლო მანქანებიდან—5 ათასზე ნაკლები ტანკი. ეს ციფრები ყოველგვარ სიტყვაზე უფრო მეტად დამაჯერებელია.

კარგად არის ცნობილი, რომ საბჭოთა ხალხი დიდად აფასებს იმ მატერიალურ დახმარებას, რასაც წითელ არმიას უწევენ ამერიკის შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთი. მაგრამ საქმის ნამდვილი ვითარების აშკარა დაშახინჯება ამ დარგში, გაზეთ „სენის“ მსგავსი მტკიცება, გადაჭრით უპირისპირდება საერთო მტრის წინააღმდეგ ანტიჰიტლერული კოალიციის ბრძოლის ინტერესებს, განსაკუთრებით ამჟამად, ევროპის კონტინენტზე ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ჩვენი მოკავშირეების მომავალი გადამწყვეტი შტურმის წინ.

ჟურნალი „ვოინა ი რაბოჩი კლასს“, № 6.

ქართველ მოჭიდავეთა წარმატება

მოსკოვი, 5 აპრილი (საკდესი). დიდძალი საზოგადოების დასწრებით ორი დღის განმავლობაში ტარდებოდა საკავშირო შეჯიბრება ფრანგულ ჭიდაობაში „დინამოს“ საზოგადოების პირველობაზე. დიდის წარმატებით გამოვიდნენ ქართველი მოჭიდავეები — სპორტის ოსტატები მეკოკაშვილი და ჭელიძე.

შეჯიბრება ტარდებოდა წრეობრივი სისტემით — ყველა მონაწილე უნდა შეჭვედროდა ერთიმეორეს. მეკოკაშვილსა და ჭელიძეს არც ერთი დამარცხება არ განუცდიათ და უდაო გამარჯვება მოიპოვეს თავიანთ მოწინააღმდეგეებზე.

სსრ კავშირის ჩემპიონმა კონსტანტინე კობერიძემ, ამჟამად მოსკოველმა, მრავალ შეჯვედრაში დაამარცხა სხვები და მოიპოვა გამარჯვება ქულების მიხედვით.

საქართველოს წარმომადგენელთა გარდა შეჯიბრებაში მონაწილეობდა რსფსრ, უკრაინის, სომხეთის, უზბეკეთის ესტონეთის, შორეული აღმოსავლეთის ოცდაათზე მეტი მოჭიდავე. შვიდი პირველი ადგილიდან სამი ქართველმა მოჭიდავეებმა დაიკავეს.

ფეხბურთი

„დინამო“ (მოსკოვი)—წითელი არმიის ცენტრალური სახლი (მოსკოვი)

სოხუმი, 7 აპრილი (საქდესი). სოხუმის „დინამოს“ სტადიონზე შესდგა ჩვენი ქვეყნის ფეხბურთელთა უძლიერესი გუნდების — სსრ კავშირის ჩემპიონის მოსკოვის „დინამოსა“ და მოსკოვის ჩემპიონის—წითელი არმიის ცენტრალური სახლის გუნდის პირველი ამხანაგური შეხვედრა მიმდინარე წელს. ორივე გუნდი მოედანზე გამოვიდა თავისი ძირითადი შემადგენლობით. მოსკოველ დინამოელთა შორის იყვნენ სპორტის დამსახურებული ოსტატები მიხეილ იაკუშინი, სერგეი ილინი. წითელი არმიის ცენტრალური სახლის გუნდის შემადგენლობაში—სპორტის დამსახურებული ოსტატი გრიგოლ ფედოტოვი და მთელს ჩვენს ქვეყანაში ცნობილი სხვა ფეხბურთელები.

თამაში დაიწყო.

წითელი არმიის ცენტრალური სახლის გუნდი უტევს; მას მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში არ გაუშვია ხელიდან ინიციატივა. ბევრია საინტერესო მომენტი, მეკარეებს ბორიტად კეთილშობილურ საქმეს აკეთებენ, ამხანაგურ დახმარებას რომ გვიწევენ საბჭოთა უკრაინის სახალხო მეურნეობის აღდგენაში.

თბილისის ქარხნების მუშები, ქართველი რკინიგზელები, ტყვარჩელქვანახშირის მეშახტეები მაჭანებითა და მოწყობილობით ეხმარებიან დონბასის მეშახტეებს. მთელი საქართველო დიდ ძურ მზრუნველობას იჩენს იმ ოლქების მშრომელთადმი, რომელნიც დაზარალდნენ გერმანელი არამზადებისაგან. მახარაძის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეები წერილით, რომელიც დღეს „რადიანსკა უკრაინის“ ფურცლებზე დაიბეჭდა, ატყობინებენ გენიჩესკის რაიონის სტალინის სახელობის არტელის კოლმეურნეებს, თუ რა დახმარებას უწევენ ისინი გენიჩესკელებს, რათა დააჩქარონ უკრაინის კოლმეურნეობის აღორძინება, რომელსაც ისინი ეჯიბრებიან.

საბჭოთა უკრაინის მშრომელები ეუბნებიან თავიანთ ქართველ ძმებს:

— გმადლობთ, ამხანაგებო, გმადლობთ, ძმებო და მეგობრებო!

ჩვენ გაგვაერთიანა საერთო ბედმა, ჩვენ გაგვაერთიანა საერთო ბრძოლამ მძვინვარე მტრის—გერმანული ფაშიზმის წინააღმდეგ. უკრაინისა და საქართველოს მეგობრობა, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთა მეგობრობა, რომელიც შექმნილი და გამოწრთობილია დიდი სტალინის მიერ, გაიზარდა და გამტკიცდა სამამულო ომის ცეცხლში.

უკრაინისა და საქართველოს მშრომელთა სოციალისტური შეჯიბრება კიდევ უფრო განამტკიცებს ჩვენს კავშირსა და ჩვენს მეგობრობას, ახალ-ახალ დიდსა და საუცხოო ნაყოფს მოგვიტანს.

გაზეთ „რადიანსკა უკრაინის“ 1944 წ. 15 მარტის მოწინავე სტატია.

(უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, უკრაინის სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს და სახალხო კომისართა საბჭოს ორგანო).

თბილისის აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკა: ხურათზე: (მარცხნიდან) სახვეო საამქროს სტახანოველი მ. ლაპაშვილი, რომელიც გეგმას 128 პროც. ასრულებს; სამასრე ბრიგადის ბრიგადირი ვ. კოხტავა (ცენტრში) ესაუბრება ახალგაზრდა სტახანოველებს ე. ბერუაშვილს (მარცხნივ) და ტ. მესხს.

თეატრებში

8 აპრილს: სახელმწიფო ოპერა—„პატარა ჯარი“. რუსთაველის სახელობის—„საპატარძლო აფეთი“. მარჯანიშვილის სახელობის—„რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“. გრიბოედოვის სახელობის—„სამი და“. ახუნდოვის სახელობის—„მახბატ“. მუსკომედიის — „ბაჯარათი“. მოზარდი მაყურებლის—ქართული—„ნაცარქექია“, რუსული — „ვერაგობა და სიყვარული“.

კინოებში

8 აპრილს: რუსთაველი — „ცირკი“. ოქტომბერი — „ცისარტყელა“. დამკვრელი — „ჭაბუკი ჩვენი ქალაქიდან“. კომკავშირელი—„ნასრედინი ბუხარაში“. სპარტაკი—„მსახიობი ქალი“. ლუქსემბურგის სახელობის — „მაშენკა“. 26 კომისრის სახელობის — „ცისარტყელა“.

პასუხისმგებელი რედაქტორი ბ. წანიტაშვილი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი აცხადებს, რომ 10 აპრილს, დღის 3 საათზე მედინსტიტუტის აუდიტორიაში (მელიქიშვილის ქ. № 16) შესდგება ინსტიტუტის საბჭოს ღია სხდომა, რომელზედაც მედ. მეცნ. კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციას დაიცავენ:

1. ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის ასისტენტი რაისა ეფრემის-ასული ქარცევაძე თემაზე: „ფილტვის გემატოგენური ტუბერკულოზის კლინიკა და მკურნალობა“.

ოფიციალურ ოპონენტებად დანიშნული არიან მეცნ. დამს. მოღვაწე ბროფ. ნ. ყიფშიძე და დოც. ანდ. უშვერიძე.

2. დაღისტნის მედინსტიტუტის ასისტენტი ლეონიდ ვასილის-ძე სოკოლოვი თემაზე: «Морфологический принцип в изучении изогемоаглютинации».

ოფიციალურ ოპონენტებად დანიშნული არიან მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე სპეციალ აკადემიკოსი ვ. ვორონინი და აკადემიკოსი გრ. მუხაძე.

მსურველთ შეუძლიათ გაეცნონ შრომებს მედინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (მელიქიშვილის ქ. № 16).

დირექცია

„თბილგუუტრანსპორტის“ თანამშრომლები იუწყებიან **მარო თეოფილეს-ასულ საყვარელიძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 9/IV, 3 ს. შირშოვის, 18. 421

ბიძა ნიკოლოზ ტარიელის-ძე, ბიცოლა ელიკო თავართქილაძეები იუწყებიან დისწულის **ელენე თეოდორეს-ასულ გოგბერნიძის** გარდაცვალებას. 427

თბილისის ქალთა მე-19 საშუალო სკოლის დირექცია და პედაგოგიური პერსონალი იუწყებიან **აკაკი ნიკიფორეს-ძე ჩხენკელის** გარდაცვალებას. 428

რუსიკო გოგოლაშვილი, გალაქტიონ მინდაძე იუწყებიან **ოირამ სიმონის-ძე გოგოლაშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 9/IV, 4 ს. კ. მესხის შეს. 16. 432

მეუღლე დესია, შვილი ლამარა, სიძე თოფა გოგუშვილი შვილით იუწყებიან **ვასილ ქებულაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 9/IV, 2 ს. ახვეტის 4. (საბურთალო).

ცოლი ოლგა, შვილი თამარი, შვილიშვილი ნოდარ, და ცაბია ოჯახით იუწყებიან **ლევან საბაშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 9/IV, 2 ს. გრიბოედოვის, 32.

შვილები ანა, შალვა, სიძე პეტრე ახალკაცი და შვილიშვილები იუწყებიან **გრიგოლ იოსების-ძე თევდორაშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 9/IV, 3 ს. გარდისუბნის, 26. 436

იერემია და ესმა კაპანაძეები შვილებით, სიძეებით იუწყებიან სტუდენტ **დარეჯან აკაკის-ასულ კაპანაძის** გარდაცვალებას.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის თანამშრომლები იუწყებიან, რომ 9/IV, 2 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია **ვლადიმერ პავლეს-ძე სტურუას** პანაშვიდი.

მიშა და პელო წერეთლები შვილებით გიზოთი და მზიათი იუწყებიან შვილის **ჯონდოს** გარდაცვალებას. პანაშვიდი 8/IV, 7 ს. გამოსვენება 9/IV, 4 ს. ლენინის, 27.

შვილი გრიშა, რძალი ლიდა, შვილიშვილი ფაცუკა იუწყებიან, რომ 9/IV, 4 ს. პეტრე-პავლეს სასაფლაოზე დანიშნულია **ნინო არტემის-ასულ წვერიანოვას** პანაშვიდი.

ქმარი დომენტი, შვილები რეზიკო, გურამ იუწყებიან **პასიკო დარახველიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 8/IV, 6 ს. გამოსვენება 9/IV, 4 ს. მესამე ახალშენის, 43.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. **ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის**—3-62-26, **პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილის**—3-63-03, **პასუხისმგებელი მდივნის**—3-08-67, **სამდივნოს**—3-06-88, **განყოფილებებისა: პარტიულისა და პროპაგანდის**—3-81-84, **ხასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტო**—3-80-83, **სამხედრო, განათლება-ჯანმრთელობის, ლიტერატურისა და ხელოვნების**—3 80 84, **წერილების**—3-73 24, **მორიგისა და გამომშვების** — 3-81-65, **გამომცემლობის** — 3-51-81, **სტამბის დირექტორის** — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 91 800 УЭ 00113

უკრაინა—საქართველო

შრომითი გმირობის დიდებით მოსილი მზიანი საბჭოთა საქართველოდან ჩვენ გვესმის მეგობრული ხმა და გულითადი სალამი. საქართველოს სს რესპუბლიკის მახარაძის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის არტელის კოლმეურნეები. რომელნიც ბევალი წლის